საარჩევნო კანონის მიხედვით თვითეულ საარჩევნო okრუგში შეუძლიათ დასახელებულ იქნენ მხოლოდ იმ კანდიდატების, რომლებიც თავის დროზე არიან გატარებული რეგისტრაციაში საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ და შტანილი არიან მის მიერ ბიულეტენში. საოლქო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების საერთო კრებებზე დასახელებულ კანდიდატებს, მუშებისა და მოსამსახურეების კრებებზე—საწარმოებში, წითელარმიელებისა — საბრძოლო ნაწილებში, გლეხებისა—კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისა — საბჭოთა მეურნეობებში. ამას გარდა, საჭიროა დასაწყებული კანდიდატის თანხმობა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო okრუგში. ამგვარად, თუ იგი ჩაწერილ იქნა საარჩევნო ბიულეტენში, ვერ უპასუხებს კანონს ამ მოთხოვნებს და, მაშასადამე, მას არ უნდა ეყაროს კენჭი მოცემულ საარჩევნო okრუგში. ასეთი ბიულეტენი გაუქმებულად ჩაითვლება.

საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები დამტკიცებულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. ამომრჩეველმა უნდა ისარგებლოს მხოლოდ დაწესებული ნიმუშის ბიულეტენებითა და კონვერტით. ეს დაწესებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხმის მიცემის საიდუმლოება. აგრეთვე არ შეიძლება ბიულეტენების ჩაშვება საარჩევნო ყუთში უკონვერტოდ.

შორმავალი მაჟარეგლები არჩევნების დღეს

ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე დაიწყო სპეციალური ვაგონების გამოყოფა და მოწყობა შორმავალ მატარებლებში საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობისათვის.

ასეთი ვაგონები გამოყოფილი იქნება სამგზავრო მატარებლებში №№ 29 და 47 (თბილისი—მოსკოვი), № 7 (ბაქო-როსტოვი), № 61 (თბილისი—ხარკოვი), № 33 (ბაქო—შუბტაკუა), № 78 (თბილისი—ჯულფა), № 65—66 (თბილისი—წნორისწყალი) და № 74 (ბაქო—ბათუმი).

ვაგონები საარჩევნო კომისიებისათვის მიმბული იქნება მატარებლთა შემადგენლობის შუაში. თვითეულ ვაგონში მოეწყობა 6 განჯა, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად საჭირო ყოველგვარი ინვენტარით (მელანი, კალმები და სხვ.). დაიდგმება საარჩევნო ყუთები. მატარებლები მხატვრულად იქნება გაფორმებული ლოზუნგებით, პლაკატებით, ბელადების პორტრეტებით.

საუბნო საარჩევნო კომისიების ვაგონები შეტანილი იქნებიან მატარებლთა შემადგენლობაში ა. წ. 9-დან 12 დეკემბრამდე.

გზის სამმართველომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მატარებლთა შეუფერხებელ მიმოსვლას არჩევნების დღეს. მატარებლებისა და ორთქლმავლების ტექნიკური გასინჯვისათვის მიზიდული იქნებიან გზის საუკეთესო აგენტები. მატარებლებს წაიყვანენ სტახანოველი მემანქანეები მეთვალყურე მემანქანეთა თანხლებით.

არჩევების დღეს ყველა სადგური მიიღებს სადღესასწაულო სახეს. (საქტესი).

შეცდომები სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს

ამომრჩეველთა სია დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია. მას გულმოდგინედ და დაკვირვებით უნდა შეიჯეროს ორჯონიკიძის რაიონების ხელმძღვანელები კი ამ საქმის რატომღაც ზერელედ მოკიდნენ და ამომრჩეველთა სიების დაფორმება უმთავრესად უმცროსი კლასის მოწაფეებს მიანდეს. ამის შედეგი რა გამოსავლინა, რომ უბნებში უკვე გამოკრულ ამომრჩეველთა სიებში ვხედებით მრავალ დამახინჯებას. ზოგან არეულია ამომრჩეველთა გვარი, სახელი და მამის სახელი. ზოგ სიაში გამოტოვებულია არა თითო-ოროლა ამომრჩეველი, არამედ მთელი სახლი თავისი მობინადრეებით.

მოვიყვანოთ ფაქტები. მაგალითად, № 19 საუბნო საარჩევნო კომისიაში დღემდე შემოსული სარჩევრების მიხედვით გამოკრეფილია, რომ სიაში გამოტოვებულია 110 ამომრჩეველი. სიაში სრულიად გამოტოვებული არიან პეროვის ქ. № 2 სახლში და ლენინის შესახვევში № 3 სახლში მცხოვრები ამომრჩევლები. სამაგალითოდ არის მრავალი შემთხვევა, რომ ერთი და იგივე ამომრჩევლის გვარი სიაში ორჯერ არის შეტანილი. არცერთი აკრეთვე ამომრჩეველთა მისამართები და დაბადების წელი. ლენინის ქუჩაზე № 27 სახლში მცხოვრები თინა მელაძე სწერია ლენინის ქ., № 3. 1870 წელს დაბადებულ მოხუც ქალს დაბადების წელი უწერია 1905. სამწუხაროა ის, რომ ასეთი შეცდომები ძალიან ბევრია. ამომრჩეველთა თითქმის 30—40 პროცენტს გვარები და სახელები სიაში არასწორადაა შეტანილი.

ასევე შეცდომებითაა სავსე № 13 საარჩევნო უბანში გამოკრული ამომრჩეველთა სია. აქ გამოტუებულია 14 სახლში მცხოვრები ამომრჩეველები. მარტო 8 მარტის ქუჩაზე გამოტოვებულია 6 სახლი. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც № 20 საარჩევნო უბანშია. ორჯონიკიძის რაიონის მიერ სრულიად უპასუხისმგებლოდ შედგენილმა ამომრჩეველთა სიებმა საუბნო საარჩევნო კომისიებს გაუთხულა მუშაობა. საჭირო შეიქნა სამინათ-საინჟინრო ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი ამომრჩეველთა სიების ხელახლა შემოწმება და მათი შედარება „გადათეთრებულ“ სიებთან.

ასეთი შედარების დროს გამოირკვა, რომ უმრავლეს შემთხვევაში შავად შედგენილ სიებში უფრო მეტი სიზუსტითაა შეტანილი ამომრჩეველების გვარი და სახელი, უფრო მცირეა გამოტოვებულთა ოდენობა, ვიდრე „გადათეთრებულ“ სიებში. განა ეს არ მოწმობს ორჯონიკიძის რაიახჯის ხელმძღვანელ მუშაკთა უდარდელ დამოკიდებულებას ამომრჩეველთა სიების გაფორმებისადმი?

საარჩევნო უბნები მითავსებულ უნდა იქნას სათანადოდ შერიგეულ კანონის ყველა საკითხში.

ალ. დოღონაძე

დამახინჯებული სიები და დავიწყებული აგიზაცია

თბილისი. ლენინის ქუჩა № 14. აქ, სარემონტო კანტორის 4-ოთახიან შენობაში, მითავსებულია № 51—14 საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია.

შენობა მორთულია ლოზუნგ-პლაკატებით. დაუწესებიათ კომისიის წევრთა მორიგეობა ყოველდღე.

სიების გამოკვრა დებულებით დაწესებულ ვადაზე 5 დღით დაგვიანებულ, მაინც აღარებელ შეცდომებია დაშვებული. ამაში ბრალი მიუძღვის ორჯონიკიძის რაიახჯის, რომელმაც ვერ შეაფასა ამომრჩეველთა სიების სისწორით შედგენის პოლიტიკური მნიშვნელობა და მათი შედგენა არაკვალიფიციური აღრიცხველებს მიანდო, ამის გამო სიებში შეცდომებია დაშვებული.

18 ამომრჩეველს სრულიად არ უწერია დაბადების წელი. დამახასიათებელია ასეთი მაგალითი: ადლერის ქუჩაზე № 3 სახლში მცხოვრები, ახალგაზრდა მოკლაქე იური გრიგორის-ძე დობროტინი სიაში ასეა მოხსენებული:

„დობროტინა (!) იუნა-იუნი (!) გრიგორის-ძე“.

კომენტარიები ზედმეტია. ამხ. დობროტინს სიაში არ უწერია დაბადების წელი, მაგრამ, როგორც დედამისი გვარწმუნებს, მას მხოლოდ 1938 წლის მარტში შეუსრულდება 18 წელი. საფიქრებელი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ დედის განცხადების სისწორეში.

სიებში ძალიან ბევრი გეხვდება გვარების დამახინჯებანი. მაგალითად სოლეკოვა ჩაწერილია სოკოლოვის მაგიერ, ფოფკტველიანი ფოცხველრაძის მაგიერ და ა. შ.

ბევრი ამომრჩეველი კი სრულიად გამოტოვებულია სიიდან.

ამომრჩეველთა სიების დაშვებული ყველა შეცდომა სასწრაფოდ უნდა გასწორდეს!

საგარეჯოს რაიონის აღსახძის სოფლისაბჭოში ხმის მიცემის უფლების მოწმობათა ბლანკები, რომლებიც ამომრჩეველთ ეძლევათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას, არის არა სოფლისაბჭოში, არამედ საარჩევნო უბანში. საუბნო კომისია თვითონ ძლევს მათ ამომრჩევლებს, რითაც ეხშამდ არღვევს „დებულების სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“.

ამ შეცდომების გამოსასწორებლად ერაგვნათ ზომებს არ ღებულობს არც რაიონისა კომი და არც პარტიის რაიკომი.

დაუშვებელი დამახინჯებანი ამომრჩეველთა სიებში

ახალციხე, 21 ნოემბერი (საქტესი). ახალციხის მშრომელები დიდი ყურადღებითა და ინტერესით ეცნობიან ამომრჩეველთა სიებს, რომლებიც გამოკიდებულია საარჩევნო უბნებში.

სიები კარგადაა გაფორმებული, დაწერილია გარკვეული ხელით და გამოკიდებულია სპეციალურ მინიან ვიტრინებში. მაგრამ სიები ვერ არის დამაკმაყოფილებლად შედგენილი. ამომრჩევლებმა სიებში აღმოაჩინეს შეცდომათა და დამახინჯებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა. მაგალითად, ამომრჩეველი იბრაგიმოვი და ჯამალოვი, რომლებიც პირველი უბნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მეტანილი არიან სიებში სახლისა და მამის სახელის აღურნშაეად. სიებში გამოტოვებულია მტს-ის 12 მეშა და სასოფლო – სამეურნეო მიედგომეული ტექნიკუმების 250 სტუდენტი. ასის შემთხვევები, როდესაც სიაში შეტანილი არიან 1920 წელს დაბადებული არასრულწლოვანი მოქალაქენი. ბევრი ამომრჩეველის დაბადების წელი არეულია, მთელ რიგ შემთხვევებში ამომრჩეველთა გვარების პირისპირ ნაჩვენებია დაბადების წლები 1001, 1930, 1972.

19 ნოემბრამდე საჭიროა საბჭომ მიღო 360-ზე მეტი განცხადება სიებში დაშვებულ შეცდომათა და გამოტოვებათა შესახებ. საქალაქო საბჭოს დღემდე არ განუხილავს არცერთი განცხადება. განცხადებათა აღრიცხვა საქალაქო საბჭოში არ არის მოგვარებული. თანამშრომელი ქალი ვ. კუსკოვა თვითნებურად ასწორებს ამომრჩეველთა სიებს.

ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე შედგენილი სიები ერთმანეთს არ შეესაბამება. ასე, მაგალითად, მესამე უბნის ამომრჩეველთა სიაში, რომელიც სომხურ ენაზეა შედგენილი, არიცხება 1162 ამომრჩეველი, ქართულად შედგენილ სიაში—1027, რუსულად შედგენილ სიაში კი—1109.

პარტიის რაიკომმა მიიღო ზომები ამომრჩეველთა სიებში დაშვებული ყველა შეცდომების გასასწორებლად.

სოხუმი. გაგრის ამომრჩეველთა სიებში არ არის შეტანილი ბევრი მოხუცი (ამხ. ტარასოვი, ივასიკინი, მადიროსკაია და სხვები), რომლებიც № 20 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ეს შემთხვევითი როდია. ერთერთ საინსტრუქციო თათბირზე გაგრის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ჩამოთვალა განაჯახად, რომ მოხუცებს ირომელიმეთ საარჩევნო უფლებები. თვითონ სულელური განცხადების განსამტკიცებლად ჩენინაგან მთელ რაიონში დაგზავნა მიმართება თავისი ხელმოწერით, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში უფლებამოსილი არიან მოხუცებულნი 14-დან 50 წლის ასაკამდე.

გაგრის რაიონის აღსახძის სოფლისაბჭოში ხმის მიცემის უფლების მოწმობათა ბლანკები, რომლებიც ამომრჩეველთ ეძლევათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას, არის არა სოფლისაბჭოში, არამედ საარჩევნო უბანში. საუბნო კომისია თვითონ ძლევს მათ ამომრჩევლებს, რითაც ეხშამდ არღვევს „დებულების სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“.

ამ შეცდომების გამოსასწორებლად ერაგვნათ ზომებს არ ღებულობს არც რაიონისა კომი და არც პარტიის რაიკომი.

დანაშაულებრივი დაუდევრობა

სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სტალინური კონსტიტუციისადმი მიძღვნილი პლაკატი.

თვითეული ხალხის ენისადმი პატივისცემას მტკიცედ იცავენ სოციალისტური სახელმწიფოს კანონები. სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობამ კი გაბედა თავის პლაკატზე თავდაყირა დაებეჭდა კონსტიტუციის სახელწოდება ქართულ ენაზე.

პლაკატის ავტორებს და სულის-ჩამდგმელებს არ შერცხვათ გამოქვეყნებინათ თავისი გვარები ამ ანტისაბჭოთა „ნაწარმოებზე“. აი ისინი: მხატვრობა ე. პირნიკაშვილი თავისი ხელით მოხატა პლაკატი. ხოლო რედაქტორს მ. იანკატოვას ეკუთვნოდა „პატივი“ ამ ანტისაბჭოთა ნათითხნზე თავისი რედაქტორული ხელმოწერა აღებეჭდა. პლაკატს ბეჭედი დაასვეს აგრეთვე წარმოების მეთვალყურემ ვ. ბაბაჯანიძემ და, რაც განსაკუთრებით საკვირველია, მთავლიტის რწმუნებულმა.

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელნო, სადაც ამ პლაკატის ტირაჟის ნაწილი გაიგზავნა, აღი შეოთებულნი არიან სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობის ასეთი დანაშაულებრივი დაუდევრობით. ის აღშფოთება სავსებით ბუნებრივია: ასეთი პლაკატს გამოშვების თვით ფაქტი ცხადყოფს სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობის მუშაკთა ბოროტ უპატივცემულობას სსრ კავშირის ხალხებისადმი, თავისი მუშაობისა და თავისი მკითხველებისადმი.

(„ვრაკვლა“).

სტახანოველი კოლმეურნე

ხვარბეთის (მახარაძის რაიონი) მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ვართ. მსჯელობა მანდარინის მუქ ფოთლებში გახვეულა კოლმეურნე გიორგი თავმჯდომის სახლი. გიორგიმ თვალი მიმოავლო თავის კარმიდამოს და სახეზე ღიმილი აეთამაშება. რა დიდი განსხვავებაა მის ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის! მან ამ წუთში წარმოიდგინა ძველი ცხოვრება, როცა აზნაურ ქარციკაძის მიწას ამუშავებდა, როცა წარმოდგებას არ ჰქონდა ადამიანურ ცხოვრებაზე.

ჩვენ ვთხოვეთ გიორგის ეამბნა რამე წარსულზე.

— ჩვენ ისეთი მწარე წარსული გვაქვს, რომ მისი მოგონება სასიხარულო არაა. წინათ ისეთი გადახურული ფაცხაში ცეცხლიც ძლივს თავზე მაწვიმდა. ჭალამანს ვნატრობდი. მაშინ ვოცნებობდი სახნავათის მიწაზე, ბარზე, ძროხაზე, ოდა სახლზე, საკრავ მანქანაზე, ოჯახის წევრთა რიგიანად ჩაცმაზე. ერთი სიტყვით, ვოცნებობდი ადამიანურ ცხოვრებაზე. ახლა თქვენ თვითონ შეხედეთ, მაკლია რამე? არაფერი არ მაკლია, ყველაფერი მაქვს, რაც კი სჭირდება ადამიანს. საქიროზე მეტიც მაქვს. წინათ ერთი სტუმარი რომ მოსულიყო, დავიძალებოდი. ნუ იფიქრებთ, რომ სტუმარი არ მიყვარდა, მაგრამ გამასჯინძღების შეძლება არ მქონდა. ახლა? ახლა ორმოცი კაცი მთელოდნელად რომ მესტუმროს, წარბს არ შევიჭმუხნი და ეზოდანაც გასვლა არ დამჭირდება რაიმეს „სასესხებლად“.

გიორგი მოკლედ გვიხსნის იმ პირობებს, რომლებმაც მოუხდათ მას და მის თანამზავრებს ბრძოლა კოლექტივის ჩამოყალიბებისათვის. მტრულად განწყობილი პირები—ნაძირალა მენშევიკები და კულაკური ელემენტები—შკარად ხელს უშლიდნენ კოლექტივის დაარსებას და იმუქრებოდნენ კიდეც.

გიორგის ინიციატივით 11 მოსაზღვრე გლეხური მეურნეობა „მიწის საზოგადოებრივი შრომით დამუშავებელი ამხანაგობა“ და ამით საფუძველი ჩაუყარა კოლექტიურ მეურნეობას. კოლმეურნეობაში გიორგი დარწმუნებით უხსნიდა გლეხებს კოლექტიური შრომის უპირატესობას, დაკისრებულ ვალდებულებათა წარმატებით და შეგნებულად შესრულების მნიშვნელობას. მოკლე დროის განმავლობაში მან სამაოლნიად დაამსახურა ავტორიტეტი და პატივისცემა კოლმეურნეობაში. დღეს მას უწოდებენ კოლმეურნეობის სიამაყეს, და იგი ამაოლოეს კიდეც ამ სახელწოდებას.

გიორგიმ გაამშვენიერა თავისი სახლკარიმდამო მეურნეობა. ახლა მას უკვე აქვს მსწმოიარე ცოტნუსები: მანდარინი—850 ძირი, ფორთოხალი—25 ძირი, ლიმონი—80 ძირი, დაფნა—95 ძირი და სხვა მრავალი ხეხილი.

წინანდელი ღატაკი გლეხის ეზოში—დღეს წამოშემოლია ოთხთვალა ოდა სახლი, კრამიტით დახურული. სამზარეულო სახლი, პეღელი, სასიმინდე. გიორგის ჰყავს ძროხა, ღორები და შინაური ფრინველი. კოლმეურნეობიდან მიღებული თანხით შეიძინა ძვირფასი საოჯახო ნივთები: შიფონერი, ბუფეტის შკაფი, კარადები, მაგიდები, ვენური სკამები, რკინის საწოლები, სავარძლები, ფარდები, სერვიზები, ბოტანის პატეფონი, საკრავი მანქანა, ტანსაცმელი...

შვიდი სულისაგან შესდგება გიორგის ოჯახი. ამთავად შრომისუნარიანი 4. მისი უმცროსი ძმა ისიდორე (ყოფილი კოლმეურნე) დღეს ასპირანტურაში სწავლობს. ოჯახის ყველა წევრს კარგად და სუფთად აცვია.

დიდი ოჯახია! მის ოჯახს წელს გამომშავებული აქვს 693 შრომადღე. ეს ნიშნავს კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის ცნობით—7.623 მანეთს, 3.465 კილოგრამ სიმინდს და სხვა პროდუქტებს.

ეს შრომადღეები თქვენ, უფროსო, ცოტა გეჩვენებათ.—ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პ. ხოსენაია. ამხ. გიორგის წელს მამა და სიძე გარდაეცვალა. ამ გარემოებამ მას ბევრი დღეები დაუკარგა.

წელს მან სახელმწიფოს მიჰყიდა: 700 მანეთის ბრიშმის პარკი, 4.980 მანეთის თხილი, 760 მანეთის დაფნის ფოთოლი. ამ დღეებში სხელმწიფოს მიჰყიდის 23.000 მანეთის მანდარინს. ამრიგად, გიორგი თავბეჭირიის ოჯახის ფულადი შემოსავალი წელს კოლმეურნეობიდან და საკარმიდამო მეურნეობიდან შეადგენს 37.000 მანეთზე მეტს.

გიორგი დიდძალ დაკვეთებს აძლევს ადგილობრივ კოოპერატივებს ძვირფასი საოჯახო ნივთების დამზადებით შესაძენად.

ასეთ ცხოვრებაზე წინათ ოცნებაც არ შეეძლო გლეხს, რომელსაც არ გააჩნდა თავისი მიწა-წყალი და რომლის სახლკარი არაერთხელ გადაუწვავთ, გაუპარტახებიათ და აუწიოკებიათ მეფის „მეფის“ მოხელეებს, თავად-აზნაურებს, მენშევიკებს.

გიორგიმ თავის დღევანდელ ცხოვრებას უწოდა სოციალიზმი. „ეშმარიტად ეს ასეა. სოციალიზმი—ეს არის მიწა, პური, თავისუფლება, ბედნიერება.

— თქვენ მეკითხებით, როგორ მოვიხმარ ამდენ ფულს?—გაკვირვებით გვიპასუხებს გიორგი. მე შემიძლია შრომა, შემიძლია შოვნა და, მაშასადამე, შემიძლია მოხმარებაც. ეს ბედნიერება, სიხარული და საამური ცხოვრება ჩვენ შეგვიქმნა დიდმა **სტალინმა.**

გიორგი თავბერიძე ჰეშმარიტად სტახანოველი კოლმეურნეა, ხვარბეთელთა სიამაყე.

ხვარბეთელი კოლმეურნეები უფიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიული დღის—12 დეკემბრის ღირსეულად შეხვედრისათვის. კოლმეურნეები გულმოდგინედ სწავლობენ სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის თვითეულ მუხლს.

მრავლდება სტახანოველთა რიგები. იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი, მათი მატერიალური კეთილდღეობა.

ს. მასხულია

თბილისის ბერეზომსკოვი ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ეთერ მაზანაშვილი ფაბრიკის მუშაკებს ესაუბრება სტალინურ კონსტიტუციაზე.

ფოტო ბუდუშტსკისა („სოიუზფოტოს“ სპეც. განყ.).

მისალმება ჩინეთის კომუნისტური პარტიისადმი

ბარსელონა, 19 ნოემბერი (საკდესი). ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია.

„ესპანელი ხალხი აწარმოებს განტურ ბრძოლას ევროპის შავ ძალებთან—გერმანიისა და იტალიის ფაშიზმთან, რომელთაც სურთ ერთმანეთში გაიყონ ჩვენი ქვეყანა. ჩვენ თქვენს ბრძოლას იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მხარგვერდს ვუჭერთ, რადგან ვიცით, რომ ჩვენს საერთო ბრძოლას, როგორც ჩვენს საკუთარ ბრძოლას, ყველა ხალხი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!"

საუკანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომა

პარიზი, 20 ნოემბერი (საკდესი). დღეს დილით შესდგა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომა. საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანმა ამხ. ტორეზმა წაიკითხა წერილი, რომელსაც იგი ამხ. კაშენთან ერთად კომინტერნის ესპანეთის რესპუბლიკის დახმარების კომიტეტის ინიციატორებთან ლიდერებს დე-ბრუკერსა და ადლერს წინადადებით, მოაწყონ ესპანეთის რესპუბლიკის დახმარების კამპანია.

ადგილად სომეხეთის დარბაზობა მეამბოხეთა ხელისუფლებასთან

როში, 19 ნოემბერი (საკდესი). სეუტაში (ესპანეთის მაროკო) ჩავიდა ინგლისის კრეისერი „ვალენი", რომელზედაც ემყოფება ვიცე-ადმირალი სომერვილი. ინგლისელი ვიცე-ადმირალი სადარბაზოდ ეწვია მეამბოხეთა ხელისუფლების წარმომადგენელებს და მათ პატივსაცემად კრეისერზე აღმართა მეამბოხეთა დროშა.

„დაგვიბრუნეთ ჭელმანი!"

პრაღა, 20 ნოემბერი (საკდესი). მუშური „გალო ნოვინის" ცნობით, ქალაქ ოფლიხში (ჩრდილო-დასავლეთ გერმანია), ქალაღის ფაბრიკაში გამოკიდებული იყო დიდი პლაკატი წარწერით „დაგვიბრუნეთ ტელმანი!"

გერმანიის ოფიციალური ცნობა ლორდ გალიფაქსისა და ჰიტლერის შეხვედრის შესახებ

ბერლინი, 20 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ბერხტესგადენში ლორდ გალიფაქსი შეხვედრია ჰიტლერს. საინფორმაციო ბიურო კმაყოფილებას განცხადებით, რომ გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობა ნორმალურად იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრესა აფრთხილებს ინგლისს გერმანიის ექსპანსიისაგან აღმოსავლეთში

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" მხარს უჭერს „ორკ შორ-პოსტს", რომელიც აფრთხილებს ინგლისს გერმანიის ექსპანსიისაგან აღმოსავლეთში. გაზეთი ჰკმნის ინგლისის კონსერვატორთა „რეგიონალურ ფელობას, რომლებიც მზად არიან დათმობებზე წავიდნენ ჩრდილოეთ ევროპის „სხვა ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე". თუ კი ჰიტლერს უკვე ახლა შეეძლია მიმართოს ეფექტურ მოქმედებას, — ამბობს გაზეთი, — მაშინ რის გაკეთებას შეძლებს იგი იმ დროს, როდესაც მისი ძალაუფლება კიდევ უფრო განმტკიცდება. შეიძლებელია გერმანიის თანამედროვე საზღვრების შეცვლა მეტი სხვა ხალხისათვის ზიანის მიუყენებლად, ხოლო ამას შეიძლება მოჰყვეს ევროპის საყოველთაო ომი. „თუ ინგლისი,— ამბობს გაზეთი,— ხელს შეუწყობს გერმანიის ამ მხრივ, რომ ჯაფერთოოს თავისი ტერიტორია ჩეხოსლოვაკიის ან სხვა ევროპის ქვეყნის ხარჯზე, ამას შეუძლია გამოიწვიოს უდიდესი უბედურება".

გლეხთა მასობრივი მღელვარებანი შაშისზურ გერმანიაში

პრაღა, 20 ნოემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „დოიჩი ფოლკსციატუნგი" იუწყება, 25—28 ნოემბერს გერმანიაში შედგება ყოველთაო „გლეხთა საყოველთაო ფაშისტური ყრილობა", რომელიც გადადებულ იქნა „განსაზღვრული დროისთვის". ყრილობის მოწვევას გადადებას ოფიციალურად ასაბუთებენ თურქულ-ირანულ ინციდენტით, რომელიც გერმანიაში მძვინვარებს. ნამდვილად კი, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამის მიზეზია გერმანიის გლეხობის მასობრივი მღელვარებანი, რაც სულ უფრო და უფრო იზრდება პირუტყვის საკვების ნაკლებობასთან და მკაცრ საკვებ ნორმების დაწესებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც პირუტყვი სნეულდება და დიდძალი რაოდენობით ეღუპება.

„გერმანიის გლეხები,— წერს გაზეთი, — მოითხოვენ მოაშორონ ფაშისტი კონტროლიორები გლეხურ მეურნეობებს, მისცენ პირუტყვისათვის საკმარ საკვები, შეამცირონ გადასახადები სასოფლო-მეურნეო პროდუქტებზე და ამით გადაიდონ გლეხების შიმოსავალი, გაანთავისუფლონ საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპატიმროებში მოთავსებული გლეხები, შეწყვიტონ გლეხთა მასობრივი დაპატიმრებანი და სხვ."

დარბაზობა პარიზის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონის შენობაში

პარიზი, 20 ნოემბერი (საკდესი). გუშინ პარიზის 1937 წლის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონის გენერალური კომისრის მოადგილემ ბრ. გორშენკოვმა გამოფენის სეზონის დამთავრებასთან დაკავშირებით მოაწყო დარბაზობა საბჭოთა პავილიონის შენობაში. დარბაზობას დაესწრნენ საგანგებო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, პარიზის გამოფენის გენერალური კომისარიატის წარმომადგენლები, ცნობილი პავილიონების გენერალური კომისრები, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. სურიცი, საფრანგეთის პოლიტიკური და კულტურული წრეების წარმომადგენლები და პრესის მრავალი მოღვაწე.

„ჩრდილოეთის პოლუსის" პოლარული საღგურის ნახევარი წელი

მოსკოვი, 20 ნოემბერი (საკდესი). 21 ნოემბერს სრულდება „ჩრდილოეთის პოლუსის" მოდრეიფე პოლარული სადგურის დაარსების ნახევარი წელი. უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შეასრულა მამაც საბჭოთა პოლარელებმა ოთხეულმა—საბჭოთა კავშირის გმირმა ი. დ. პაპანინმა, ორდენოსანმა ე. ტ. კრენკელმა, პ. პ. შირშოვმა და ე. კ. ფედოროვმა.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს პოლარული სადგურების სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. პ. მახაილოვმა საკდესის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— ექვსი თვის განმავლობაში, შედარებით მოკლე ვადაში, ყველაზე შორეული ჩრდილოეთის დამზადმორებლებმა დიდი საქმე გააკეთეს. ახლა ჩვენ ზუსტი წარმოდგენა გვაქვს პოლუსის რაიონში ყინულის ფენის მდგომარეობაზე, ყინულის მინდვრების ხასიათსა და ოდენობაზე, ყინულის სიმძლავრეზე და სხვ. მოდრეიფე სადგურის გახსნამდე ისიც კი არავინ იცოდა—შეიძლებოდა თუ არა თვითმფრინავის დაშვება ყინულზე პოლუსთან.

ყინულის მიერ განვლილი გზა განსაზღვრავს ყინულების დრეიფის მიმართულებასა და სისწრაფეს ცენტრალურ პოლარულ ბასეინში. „ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურმა, თუ სამხრეთის ძირითადი მიმართულებიდან გადახვევებს ჩავთვლით, გაიარა 1.000 კილომეტრზე მეტი.

მოდრეიფე პოლარული სადგურის ცხობები ახალ წარმოდგენას გვაძლევენ ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში ატლანტიკური წყლის გავრცელებაზე. წყლის თბილი ფენა, რომელიც პოლუსის რაიონში იქნა აღმოჩენილი, გვაიძულებს გადავხედნეთ არსებული ჰიპოტეზა პოლუსტრაკრობის წყლების გავრცელების შესახებ.

მეტეოროლოგიურმა დაკვირვებებმა დაგვანახვეს, რომ ციკლონური მნელვარებანი პოლუსის რაიონში თავისი ხასიათით არ განსხვავდებიან ანალოგიური პროცესებისაგან სხვა განედებში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდის პროგნოზების სრულყოფისათვის.

მოდრეიფე სადგურის მასალებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება პოლარული ზღვების რაიონში გემების და თვითმფრინავების წყვანის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო უკვე ახლაც ეწევა ისეთ ორნისძიებათა დამუშავებას, რომელთა მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად გამოიყენონ მოდრეიდე სადგურის მასალები ჩრდილოეთის საზღვაო გზის ექსპლოატაციის გასაუმჯობესებლად.

მოდრეიფე ყინულზე მსოფლიოში პირველი სადგურის შექმნის გამოცდილება, რამაც უკვე გაამართლა თავისი თავი, მოწმობს, რომ საჭიროა შემდეგშიც მოეწყოს ასეთი სადგურები.

საბჭოების სასახლის მშენებლობაზე

მოსკოვი, 20 ნოემბერი (საკდესი). ამჟამად საბჭოების სასახლის მშენებლობის მოედანზე გაიშალა მუშაობა საძირკვლების ჩასაყრელად. საძირკველი ჩაიყრება სასახლეში ერთ მაღლითა ნაწილისთვისაც. ამ საძირკვლებზე დაიდგმება სასახლის ცენტრალური მაღლითა ნაწილი, რომლის წონა 650 ათას ტონას უდრის.

საბჭოების სასახლის საძირკვლებისათვის შედგენილია „სხს" მარკის სპეციალური ცემენტი, რომელიც დიდხანს სძლებს გრუნტის წყლების პირობებში.

მთავარი საძირკვლების მშენებლობაზე უნდა დაიღოს 63 ათასი კუბ. მეტრი ბეტონი და 20 ათასი კუბ. მეტრი რკინაბეტონი.

საბჭოების სასახლის მაღლითა ნაწილის საძირკვლები შესდგება 64 სექციისაგან (საყოფენი). 20 ნოემბრისათვის დაგებულია 45 საყრდენი.



თბილისში არსებული ძველი ტაძრები თანდათანობით იცვლება ახალი ტიპის ავტომანქანებით. ამ დღეებში თბილისის ავტოტრესტმა მიიღო „3-1" ტიპის რამდენიმე მანქანა.

სურათზე: ახალი ტაქსი თბილისში.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

ახალი წიგნები

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით საქ. პარტგამომცემლობამ ქართულ ენაზე დამატებით გამოსცა შემდეგი ბროშურები: ა. ი. ვიშინსკი—სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება კითხვებსა და პასუხებში, ფასი 40 კაპ.

სტალინური საარჩევნო კანონი (ამოღებულია ჟურნალ „ბოლშევიკ აგიტატორადან").

აგრეთვე გამოვიდა და იყიდება: მ. ი. კალინინი—რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელებს.

სსრ კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები—ა. სტეცკის, ლ. მეხლისის, ე. ვარგას და ე. კარპინსკის რედაქციით, ფასი 1 მან. 50 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის პროგრამა პარტიული წრეებისათვის (მეორე გამოცემა), ფასი 1 მანეთი.

„ომზეერვა და კონტრდაზვერვა" (ამონაბეჭდი ამერიკელი მწერლის როუნის წიგნიდან; ნაწყვეტები დაბეჭდილი იყო „პრავდაში").

მოჯო-კუგი თბილისში

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მოაწყოს თბილისში მოტო-კლუბი. კლუბის დანიშნულება იქნება ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობაში (მე-8, მე-9 და მე-10 კლასებიდან) მოტორის პოპულარიზაცია და მისი ათვისება.

საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა კომუნალური მეურნეობის განყოფილებას გამოჰყოს მიწის ნაკვეთი მოტო-კლუბის ახალი შენობის ასაგებად. თბილისის საბჭოს განთლების განყოფილებას კი დაევალა გაეღოს 42.000 მანეთი ამ კლუბის მოსაწყობად.

მანდარინის გადაზიდვა ფერხდება

(ჭიაურეთი, „კომუნისტი" საქ. კორ.)

მანდარინის წლევანდელი მოსავალი სარეკორდოა. უნდა მოიკრიფოს 25 მილიონი ცალი, ნაცვლად გასული წლის 18 მილიონისა. კრეფა დაიწყო. 20 ნოემბრისათვის მოკრეფილი და ჩაბარებულია 16 მილიონი ცალი მანდარინის ნაყოფი. განსაკუთრებით უხვი მოსავალია სოფ. ნატანებისა და შრომის კოლმეურნეობებში. „საქკონსერვტრესტმა" ვერ უზრუნველჰყო დამზადებული მანდარინის დროულად გაზიდვა. 23 ვაგონი მანდარინი აწყვია ნატანების, მერიისა და მახაროძის საწყობებში. საწყობები მანდარინას ვერ ეტევა. განსაკუთრებით შეფერხებულია მანდარინის გამოზიდვა კოლმეურნეობებიდან. ტრანსპორტის სიმცირის გამო. დამამზადებელებმა ორჯერ ნახაცებმა ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ.

ს. მასხულია.

თბილისის №38 სკოლის საქადაკო ჯგუფ. მოსწავლეები არჩევენ ბიბლიოთეკის პარტიას.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საბჭოთა მუსიკის დეკადა

19 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში გაიხსნა საბჭოთა მუსიკის დეკადა. მოკლე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. გიგო შველიანმა, რის შემდეგაც სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა კომპოზიტორ თ. მაყარაშვილის „მარში". აგრეთვე დიდი ოტატობით შესრულა ორკესტრმა ორდენოსან—კომპოზიტორის გრ. კილაძის სიმფონიური პოემა „განდეგილი", დაწერილი ი. ჭავჭავაძის იმავე სახელწოდების პოემის თემაზე.

მეორე განყოფილება მთლიანად მიძღვნილი იყო კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილის დიდი სიმფონიური პოემის „1905 წლის" შესრულებისადმი.

მესამე განყოფილებაში შეასრულეს ორდენოსანი კომპოზიტორის ი. ტუსკიას ნაწარმოებნი. მისი „ელეგია" — პირველი ნაწარმოები ეროვნულ სიმფონიური ციკლიდან. რომელიც დაწერილია კომპოზიტორის მიერ ი. ჭავჭავაძის ლექსების მიხედვით („ელეგია", „შესმის, მესმის..." და „გაზაფხული"), გულთბილად მიიღეს მსმენელებმა. სოლისტად გამოვიდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი დ. ანდღულაძე. შემდეგ შეასრულეს „პატარა სიუიტა", დასასრულ კი „ლეკური"—მესამე ნაწილი დიდი სიუიტისა, რომელიც მიძღვნილია ქართველი ხალხის სასიხარულო, ბედნიერი ცხოვრებისადმი.

○

დეკადის შემდგომ დღეებში კონცერტებზე შესრულებული იქნება საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები: რსფსრ—მიასკოვსკისა, ქიევლობინსკისა, შჩერბაჩოვისა, უკრაინის სსრ—გლუშკოვისა, კოსენკოსი, ლატოშინსკისა, რეუტოვისა; აგრეთვე ნაწარმოებები აზერბეიჯანის და სომხეთის სს რესპუბლიკების კომპოზიტორებისა.

ფეიგზურთი

ერევანი—თბილისი

24 ნოემბერს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება ამხანაგური მატჩი ერევნის „დინამოსა" და თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდებს შორის.

მატჩი მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას წარმოადგენს, რადგან ერევნის „დინამო" სომხეთის მომძლავრესპუბლიკის ერთერთი უძლიერესი გუნდია.

თამაში დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე.

კრებები

— 22 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში ჟურნ. „ჩვენი თაობის" რედაქცია იწვევს ახალგაზრდა მწერლების კრებას, რომელზედაც ბოლოობის ძლიერად გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „პოეტური ფოლკლორი და მხატვრული ლიტერატურა".

— 22 ნოემბერს, საღამოს 7 ნახ. საათზე, საქ. მომარაგება - გასაღების სამმართველოს მოშაკთა კლუბში (კლარა ცეტკინის ქ. № 133) გაიხსნება თბილისის, ბაქოსა და ერევნის უნივერსალური მაღაზიების სტახანოველთა სარაიონთაშორისო შეკრება.

პარტკალენდარი

ლ. კვიცინსკელის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 22 ნოემბერს

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მუშათა კლასისა და გლეხობის მყარმორწყა კაპიტალისტურ ქვეყნებში. კონსულტანტები: ქართულ ენაზე — ამხ. თოფურია, რუსულ ენაზე — ამხ. ქვაჭაძე. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმისა და იმპის წინააღმდეგ. ქართულ და რუსულ ენებზე. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

ლექც კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სსრ კავშირის ახალი მუშათა კლასი. ქართულ ენაზე, კონსულტანტი, ამხ. ხოროშვილი. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგიაში საქართველოში სხორეს კარაბეტ ტიგრანის-ძე ეგორთანეს, მეთოდე ვასილის-ძე გორშენინს და ვარლამ ლუკას-ძე კვერნაძეს სამი ღლის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ბარსეგოვთან (ძერჟინსკის ქ. № 6).

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგ. კომიტეტის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1508427, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მიერ გალაქტიონ კირიონ-ძე გოგებაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩათვლის გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი

კ. შერაზია

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

25 ნოემბერს საბჭოთა მუსიკის დეკადის მეორე საღამო

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს

სიმფონიური ორკესტრის კონცერტი

დირიჟორები: ავტორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ლ. ი. არაქიშვილი** და **მ. ალბიტურაშვილი.**

სოლისტი ფორტეპიანოზე **მ. ეფიტვილი.**

სახიმერის № 30 მუდმივი ადგილები და აკადემ. ბილეთები ვარგა. დაწერილებით ამეიბეში. დასაწყისი საღ. 9 საათზე. 2-1 50

ფილარმონია

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

22/XI	მუდმ. ადგ. ტალ. № 27 ერთდრო. ბილეთის სერია № 1 **დაისი**
23/XI	**წარმოდგენა არ არის**
24/XI	მუდმ. ადგ. ტალონი № 28 ერთდრო. ბილ. სერია № 2 **ლებედა**

დასაწყისი 8 საათზე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1937—38 წ. სეზონი

22/XI	წარმოდგენა 35. **გმირთა თაობა**
23/XI	წარმოდგენა 36. **გმირთა თაობა**
24/XI	წარმოდგენა 37. **ალკაზარ**

სალარო ღიაა 12 საათიდან.

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

22/XI წარმ. № 28	ძალაშია 6 ნოემბრის და მუდმივი წარმოდგენა № 28-ს ბილეთები. **ფიგაროს ქორწინება**
23/XI წარმ. № 37	**იცა რიჟინაშვილი**

დასაწყისი სადამის 8 საათზე.

სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ.

სახსირკი. ტელ. 3-11-44

22 ნოემბრის

ახალი პროგრამა

ვოდ-ვილ ციკლი ა

არტ. დვიტონი, არტ. ორლოვები, არტ. კორენეზსკები, არტ. ლადნი, აგრეთვე მთელი დასი.

დამსახ. არტ **ქმ. ჭანკვეტაძის** ახალი რეპერტუარით.

დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

ამ დღეებში **შაშრიკი**

24 ნოემბ. წარმ. დღესვით დასაწყ. 2 ს.

ოქტომბერი — ახალი ზმოც. ძხატვრ. ფილმი **ჯარო** პლეხანოვის გამზ. № 135 — დასაწყისი 6-30

დომკრატი — ზმოც. ისტორ. ფილმი **პუგაჩოვი** პლეხანოვის გამზ. № 125 — დასაწყ. 6-30

კომკავშირელი — ზმოვანი თავდაცვითი ფილმი **შუშუვარი** პლეხანოვის გამზ. № 91 — დასაწყ. 6-30

რ. ლუქემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 — ზმოც. ფილმი **კარო** — დასაწყ. 6-15

ხარტალი რუსთაველის გამზ. № 23 — ზმოც. ისტორიული ფილმი **პუგაჩოვი** — დასაწყ. დღის 12 საათიდან

26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი — ზმოც. მხატვრ. ფილმი **საბჭოთა სამშობლოსათვის** — დასაწყისი 6-30

არსენა კომენდანტური ქ. № 9 — ზმოვანი ფილმი **სამშობლოს დევნგბირები** — დასაწყისი 6-30

ახალი ამბები — **ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავი მოსკოვ ში**

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება სახალხო არტისტის, ორდენოსანი კომპოზიტორის

მელიტონ ანტონის-ძე ბალანჩივაძის

გარდაცვალების.

ამიერ-კავკასიის რკინიგზების სამმართველო

იუწყება რომ 1937 წლის 21 ნოემბერს ღამით, დროებით, სათანადო ცნობის გამოკვეთებამდე, იცვლება სამგზავრო მატარებლების გამგზავნობა და მოსვლა სადგ. თბილისში ბათუმის, ფოთის, კელასურის, ჟუთაისისა და გორ-ჯომის მიმართულებით:

გადის თბილისიდან

სამგზავრო მატარებელი № 42 ბათუმამდე	18 ს. 18 წ. ყოველდღე
სამგზავრო მატარებელი № 44 ბათუმამდე	22 ს. 34 წ. გამოსვლელის წინა დღეს
საფოსტო მატარებელი № 74 ბათუმამდე	8 ს. 22 წ. ყოველდღე
სამგზავრო მატარებელი № 50 ჭუთაისამდე	0 ს. 10 წ. „
სამგზავრო მატარებელი № 52 ფოთამდე	21 ს. 42 წ. „
საფოსტო მატარებ. № 76 კელასურამდე	19 ს. 45 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 54 ბორჯომამდე	6 ს. 18 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 56 ბორჯომამდე	15 ს. 17 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 102 გორამდე	13 ს. 05 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 104 ქასპამდე	14 ს. 05 წ. „

მოდის თბილისში

სამგზავრო მატარებელი № 41 ბათუმიდან	7 ს. 58 წ. ყოველდღე
სამგზავრო მატარებელი № 43 ბათუმიდან	10 ს. 15 წ. ქვეს-დღეურის 1-ლ დღეს
საფოსტო მატარებელი № 73 ბათუმიდან	0 ს. 01 წ. ყოველდღე.
სამგზავრო მატარებ. № 49 ჭუთაისიდან	4 ს. 42 წ. „
სამგზავრო მატარებელი № 51 ფოთიდან	9 ს. 04 წ. „
საფოსტო მატარებ. № 75 კელასურიდან	12 ს. 57 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 53 ბორჯომიდან	20 ს. 32 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 55 ბორჯომიდან	7 ს. 05 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 101 გორიდან	19 ს. 12 წ. „
სამგზავრო მატარებ. № 103 ქასპიდან	18 ს. 40 წ. „

შენიშვნა: 1. 21 ნოემბერს ღამით მატ. № 50 თბილისიდან ვაგონი შეცვლილი განრიგით.
2. სამგზავრო მატარებლების გამგზავრება და მოსვლა სადგ. თბილისში ბაქოს, ყულფინსა და თელავის მიმართულებით უცვლელი რჩება.
3. მატარებლების მოსვლა და გამგზავრება აღნიშნულია მოსკოვის დროით, რომელიც ადგილობრივ დროზე ერთი საათით უსწრებს.

1295

საქ. ადგილობრივ მრეწველობის სახ. კომის. საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის ბალანსი 1937 წ. 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

№ № რიგ.	აქტივი: ანგარიშების დასახელება	თანხა	№ № რიგ.	პასივი: ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	496	1	საწესდებო ფონდი	676
2	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათადარიგო ნაწილების	147	2	სპეციფონდები	21
3	ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება	43	3	რეზერვები	3
4	საკომპლექტო, მზა ნაწარმი	104	4	ანგარიშსწორებანი	35
5	ფულადი საშუალებანი	52	5	საანგარიშო წლის დაგროვებანი . . .	166
6	ანგარიშსწორებანი	22			
7	მომავალი პერიოდის ხარჯები . . .	3			
8	განსაკუთრებული საშუალებანი	34			
	ბალანსი . . .	901		ბალანსი . . .	901

1936 წლის დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1	სხვადასხვა დანაკარგები	1	1	დაგროვებანი საქონლისა და თანაწარმის რეალიზაციით	164
			2	სხვა დაგროვებანი	3
	დაგროვების სალდო .	166		დანაკარგების სალდო .	—
	ბალანსი . . .	167		ბალანსი . . .	167

დირექტორი **მ. ძამბაზიშვილი.** მთავ. ბუღალტერი **ი. მერაბიშვილი.**

ბალანსი და დახაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწვ. სახალხო კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1207 საქ. ადგილ. მრეწვ. სახ. კომ. საბუღალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი **ჯანელიძე.**

მისამართი: რედაქციისა—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გაზეთისა და ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქციის პროსპექტი № 34. ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მეურნეობის მოღალატეების—3—73—24, პ.-მგ. მორიგისა—3—26—67, გაზეთ-ჟურნალების—3—51—81, სტამბის დირექტორისა—3—27—04. ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", ქ. № 65.

მთავლიტის რეგისტრაციული № 3901